№ 257
კვირა, 28 ნოემბერი, 1899 წ.

1877—1899

ივერია

№ 257
კვირა, 28 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბეჭდად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერთან ერთად დამატებად გეგზავნებათ სელის-მომწერლებს სურათები: იმპერატორის პაველ I-სა, საქართველოს მეფის ერეკლე II-სა, საქართველოს მეფის გიორგი XII-სა, თავ. გარსევან ჭავჭავაძისა და გენერალ ნორინგისა და ორი მხატვრობა: შემოსვლა რუსეთის ჯარისა ქ. ტფილისში 1799 წლის 26 ნოემბერს.

ᲘᲥᲘᲓᲔᲑᲐ

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიისა და „ივერიის“ რედაქციაში

„ᲡᲝᲛᲔᲮᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲗᲐᲐ ᲦᲐᲦᲐᲓᲘ“,

წერილი ილია ჭავჭავაძისა, **მეორედ** გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა.
ეს გამოცემა ძვირფასს ქაღალდზეა დამეკვიდილი. ჰელრის წიგნი ექვს შაურად.

მოვიწვევ მსურველებს ახლად შედგენილ ქაროულ საეკლესიო მგალობელთა გუნდში მონაწილეობის მისაღებად გალობის დროს; მოწონებულ მგალობელს დაენიშნება ჯამაგირი. პირობების შეტყობა შეიძლება ჩემთან.
ადრესი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 5.
გამგე—ლოტბარი გუნდისა ალექსანდრე (6—ᲗᲕ.—6) გრიგოლის ძე კვესაძე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილობობით:
ბ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12
საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ᲔᲓ. Გ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲜᲘᲐᲜᲪᲘ—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
Ი. ᲤᲘ. ᲠᲝᲢᲝᲢᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.
Ა. Ჯ. ᲥᲐᲠᲐᲯᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
Ა. Ზ. ᲒᲣᲨᲘᲠᲝ. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობითი:
Ი. ᲤᲘ. ᲠᲝᲢᲝᲢᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ. 5—6 საათ.
Ა. Ნ. ᲨᲐᲕᲘᲩᲘ. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.
Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7—7½ საათ.
Თ. Ი. ᲠᲣᲓᲔᲜᲪᲝ—სამკურნალოში შაიც იყო და არის, მაგრამ, ჰგავს ნეტა აქაური ბრძოლა იქაურს? არა. იქაურმა ბრძოლამ ვერ შეაფერხა ვერც ერთი სასიკეთო საქმე. პირიქით ამ ბრძოლის დროს თავად-აზნაურობამ გადააკეთა თეატრი, შეძენილ იქმნა მილიონნაგად საღირალი მამული — არწრუნისეული, — მეორე დიდი სახლი, სკრის მამული, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ მორთო და გამდიდრა მუზეუმი, მეორე საზოგადოებამ გააფართოა საბანაური სკოლა, რომელიც დღეს საქმე ფეხზეა დაყენებული როგორც ნივთიერად, ისე სწავლა-აღზდის მხრივ; ახლა ხომ სასწავლებლის საქმე საკვირველ გვარგვარდება. კეთილ-გონიერთა მოღვაწეობის მეოხებით ამ ორი-სამი წლის განმავლობაში სკოლას ექმნება საუკეთესო ევროპიულს გეგმაზე აგებული სახლი, მასწავლებელთა დასაბინავებელი სადგომები. რომელი ერთი ჩამოვა-ვალო? სადაც მიიხედ-მოიხედავ, ყოველგან საზოგადო საქმე კეთდება, საქმიანობაა.

ქუთაისში-კი, გაგვიგონია, ბრძოლა სიცოცხლის ნიშანიაო, და ვიბრძვით და ვიბრძვით, ვარჩობთ ერთმანეთს, ერთმანერთის შეშესა და დამარცხებისათვის ეზრუნავთ მხოლოდ და ეგ, ვითომ-და სასიცოცხლო, ბრძოლა აგერ სამარის კარს მოგვაყენებს.

ყველას ბატონობა გვინდა, ყველას მეთაურობის სურვილი ყელში ამოგვდის; ვინ დასდეს იმას, შეგვიძლიან თუ არა ან ერთი, ან მეორე, შეგვზდევს თუ არა ჭკუა და გამოცდილება ღირსეულის მეთაურისა, შრომის მოყვარეობა და გულწრფელობა საზოგადოების სასარგებლოდ მოღვაწეობისა, ცოდნა და შეგნება ჩვენის ერის ნამდვილ ინტერესებისა. ვისაც შეუძლიან და ვინც მიჩვეულია ამ სასიკეთო მოღვაწეობას, იმას კალთაზე ვებღაუბენთ, გვინდა, რომ ზალმორთად მიმართული პირი უკუღმა ვაბრუნებინოთ.

ჩვენდა საუბედუროდ, ამ ახირებულის ბრძოლის დროს დამწვარზედ ის მდუღარეც დაგვეხსა, რომ დაგვჩემდა და შეგვეფორკამეტა რაღაც კრილოვის ფინიასა და ძაღლების ხასიათი: ვეპეჭყანებთ და ვეპეჭყანებთ, ვყეფთ და ვყეფთ; ერთგვარად ავხორხიზდებით ავსა და კარგზედ, და ავხორხიზდებით იმიტომ კი არა, რომ ავი დავიწუნოთ და გავიწყოროთ, კარგი მოვიწონოთ და შევიყვაროთ, არამედ იმიტომ, რომ ვისმეს ვთქმევინოთ: უჰ, რა ყეფა-ჭაკუანი სკოდნიათო, ან ვისმესთან პაწაწკინტელა ანგარიში გავასწოროთ.

თქვენი ჭირი წაიღოს ამ ყეფა-ჭაკუანმა, რომ მისი ხმა ნიავ-ქარს მიჰკონდეს, მარტო ჰაერში გაისმოდეს! უბედურება ის არის, რომ უკანასკნელს ხანს გამოხოხორიკდა ერთი რაღაც პარახეული და ჩხირკედელა, ვითომ და დარგი ქართულის ლიტერატურისა; რომლის ქონდარა მოციქული ბიუები და ორთავა-დამ ფუძნებელი ამ ხრანწიანს ჭაპეყანს სალიტერატურო განძად სთვლიან და უნდათ მყრალს საქონელს ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე ბაზარი მოუპოვონ, მკითხველი უშოვონ და გონების საკვებ მასალად გახადონ.

ერთის მხრივ ასეთის ბრძოლის დროს ამდვრეულს წყალში ზოგიერთებმა მოზრდილ-მოზრდილი თევზებიც-კი გაიბეს ოსტატურად ნასროლ ბადეში: ხელთ იგდეს საზოგადო საქმეები, და რა-კი ერთხელვე ფეხი მოიკიდეს, ოსმან ფაშასავით შიგ გამაგრდნენ. თუმცა ეს საქმეები უფსკრულის დალმართისაკენ მიეკანება, მაგრამ ოსმანები ყურებს არ იბერტყენ, რადგანაც კარგად იციან, რომ შემცაცხანებელი არაფინა ჰყავთ. მეორე მხრივ არეკ-დარეკვის მოსმხრეთ იქაც შეჰყვეს თვისი მწიკვლიანი ხელი, სადაც საქმე კეთდებოდა, იმათაც იწორ-წალით ყირაზე გადაბრუნება მოუნდომეს, ვინც შემძლე იყო საზოგადო საქმის კეთებისა, ვინც საერო ინტერესებს ძლიერ გუშგად უდგას. *) აგერ 15—17 წელიწადი გადის, რაც ამერ-იმერეთში ამ ავზნე კაცებმა ადარ მოიკალეს კეთილ-მოღვაწეთა საქმისა და საქმიანობისათვის და პირადი ინტერესების გამო გამოწვეულ ბრძოლით მუდამ ხელს უშლიან ნამდვილ მოღვაწეთ.

ასეთმა ბრძოლამ, უსაფუძვლო შენ-ჩემიანობამ და ჟინიანობამ გაგვათხსირა, არაფერ სასიკეთოსათვის არ მოგვაკალა, რის გამო ხელიდგან გამოგვეცალა ისეთი საქირო და სასარგებლო საქმეები, რომელთა

*) მოიგონეთ ტფილისში ატეხილი ბრძოლა, რომელიც, როგორც ხუმრობით ამბობენ ჩვენში, ოერამის ზვრელში გაძვრა ქუთაისიდგან. ავტ.

ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მკურნალის
მიხეილ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
ᲙᲕᲠᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ
ᲓᲘᲚᲘᲗ:
Გ. Ი. ᲨᲘᲨᲘᲜᲐᲫᲔ.—ᲥᲘᲠᲘᲚᲘᲡ სნეულებანი. 8—10 საათ.
Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი—9—10 საათ.
Დ. Ჯ. ᲔᲠᲘᲡᲝᲕᲐᲜᲘ—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.
Ე. Თ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ᲧᲣᲠᲘᲡᲐ, ᲧᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡᲐ—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).
Ა. Ე. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐ 12—1 საათ.
ᲘᲐᲖ. Ჯ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.
Ე. Ზ. ᲨᲐᲛᲘᲙᲝᲕᲘ.—ᲑᲐᲨᲕᲗᲐᲡᲘᲡ (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.
Გ. Ლ. ᲛᲐᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘ—12½—1½ სადოსტაქრო.
Ი. Დ. ᲒᲝᲒᲝᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.
Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.
Ჯ. Ი. ᲒᲐᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ᲧᲣᲠᲘᲡᲐ, ᲧᲔᲚᲘᲡᲐ და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:
Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.
Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
Ნ. Ი. ᲗᲐᲕᲐᲫᲔ.—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.
გუგა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანშეგიდისა, № 21 (ჯარანგოზის ძეგლის პირდაპირ).
დირექტორი სამკურნალოსი **Თ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲘ-ᲒᲘᲠᲘᲙᲘ ᲛᲗ. ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲘᲡᲘᲡ

პროფესორი მაგისა კარიდი, რომელიც ღირს-ყოფილ იქმნა წარმოდგენა გიმართა მთ ამპერატორებთ უდიდებულესობათა ნანაშვილიდგის სასახლეში 9 სექტემბერს 1898 წლისას, კვირას, 28 ნოემბერს, 1899 წელს, გამმართავს წარმოდგენას მეორედ სრულიად ახალის პროგრამით.
დაწერილებით აფიშებში იქნება გამოცხადებული. (2—190—2)

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠᲘ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ტფილისური და ქუთათური ბრძოლა.—ქუთათური ბრძოლა უფრო სასიკვდილნოა, ვიდრე სასიცოცხლო.—ბატონობისა და მოთაურობის სურვილი.—დამწვარზე რა მდუღარე გვესხმის!—ჭაპეყანა „ლიტერატორობის“ მოტრფიალე ქონდარა ბიუები.—ამ ჭაპეყან-ბრძოლის შედეგი.—ბრძოლაში გამოჭყლეტილი კოზაკი.—საანბანურო სკოლის სახლის შენძენისათვის ზრუნვა რა კლდეზე გადაიჩეხა!—რა მამული დაკარგეთ დაუდევრობისა და ბრძოლის მოყვარეობის გამო!—სკოლის სახლის აუშენებლობა არ გვარგია. შეცდომა უნდა გასწორდეს.—რას იქმს კოზისი?—რომელი დედა-ზარი აჯობებდა სახელმძღვანელოდ?

ქუთაისში ბევრი საქმე იწყება ბრძოლით და ყველა საქმე ხომ ბრძოლვითვე და დავიდარაბით თავდება. მეც ჩემი ფელეტონი ქუთათური ბრძოლის ამბებით უნდა დავიწყო. ბრძოლა!.. ბრძოლაც არის და ბრძოლაც! ქუთათური ბრძოლა კი საარაკოა, უმსგავსი, უხამსი, ავ შედეგიანია. ბრძოლა ხომ ტფილისშიაც იყო და არის, მაგრამ, ჰგავს ნეტა აქაური ბრძოლა იქაურს? არა. იქაურმა ბრძოლამ ვერ შეაფერხა ვერც ერთი სასიკეთო საქმე. პირიქით ამ ბრძოლის დროს თავად-აზნაურობამ გადააკეთა თეატრი, შეძენილ იქმნა მილიონნაგად საღირალი მამული — არწრუნისეული, — მეორე დიდი სახლი, სკრის მამული, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ მორთო და გამდიდრა მუზეუმი, მეორე საზოგადოებამ გააფართოვა საანბანურო სკოლა, რომელიც დღეს საქმე ფეხზეა დაყენებული როგორც ნივთიერად, ისე სწავლა-აღზდის მხრივ; ახლა ხომ სასწავლებლის საქმე საკვირველ გვარგვარდება. კეთილ-გონიერთა მოღვაწეობის მეოხებით ამ ორი-სამი წლის განმავლობაში სკოლას ექმნება საუკეთესო ევროპიულს გეგმაზე აგებული სახლი, მასწავლებელთა დასაბინავებელი სადგომები. რომელი ერთი ჩამოვა-ვალო? სადაც მიიხედ-მოიხედავ, ყოველგან საზოგადო საქმე კეთდება, საქმიანობაა.

ქუთაისში-კი, გაგვიგონია, ბრძოლა სიცოცხლის ნიშნიაო, და ვიბრძვით და ვიბრძვით, ვარჩობთ ერთმანეთს, ერთმანერთის შეშესა და დამარცხებისათვის ეზრუნავთ მხოლოდ და ეგ, ვითომ-და სასიცოცხლო, ბრძოლა აგერ სამარის კარს მოგვაყენებს.

ყველას ბატონობა გვინდა, ყველას მეთაურობის სურვილი ყელში ამოგვდის; ვინ დასდეს იმას, შეგვიძლიან თუ არა ან ერთი, ან მეორე, შეგვზდევს თუ არა ჭკუა და გამოცდილება ღირსეულის მეთაურისა, შრომის მოყვარეობა და გულწრფელობა საზოგადოების სასარგებლოდ მოღვაწეობისა, ცოდნა და შეგნება ჩვენის ერის ნამდვილ ინტერესებისა. ვისაც შეუძლიან და ვინც მიჩვეულია ამ სასიკეთო მოღვაწეობას, იმას კალთაზე ვებღაუბენთ, გვინდა, რომ ზალმორთად მიმართული პირი უკუღმა ვაბრუნებინოთ.

ჩვენდა საუბედუროდ, ამ ახირებულის ბრძოლის დროს დამწვარზედ ის მდუღარეც დაგვეხსა, რომ დაგვჩემდა და შეგვეფორკამეტა რაღაც კრილოვის ფინიასა და ძაღლების ხასიათი: ვეპეჭყანებთ და ვეპეჭყანებთ, ვყეფთ და ვყეფთ; ერთგვარად ავხორხიზდებით ავსა და კარგზედ, და ავხორხიზდებით იმიტომ კი არა, რომ ავი დავიწუნოთ და გავიწყოროთ, კარგი მოვიწონოთ და შევიყვაროთ, არამედ იმიტომ, რომ ვისმეს ვთქმევინოთ: უჰ, რა ყეფა-ჭაკუანი სკოდნიათო, ან ვისმესთან პაწაწკინტელა ანგარიში გავასწოროთ.

თქვენი ჭირი წაიღოს ამ ყეფა-ჭაკუანმა, რომ მისი ხმა ნიავ-ქარს მიჰკონდეს, მარტო ჰაერში გაისმოდეს! უბედურება ის არის, რომ უკანასკნელს ხანს გამოხოხორიკდა ერთი რაღაც პარახეული და ჩხირკედელა, ვითომ და დარგი ქართულის ლიტერატურისა; რომლის ქონდარა მოციქული ბიუები და ორთავა-დამ ფუძნებელი ამ ხრანწიანს ჭაპეყანს სალიტერატურო განძად სთვლიან და უნდათ მყრალს საქონელს ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე ბაზარი მოუპოვონ, მკითხველი უშოვონ და გონების საკვებ მასალად გახადონ.

ერთის მხრივ ასეთის ბრძოლის დროს ამდვრეულს წყალში ზოგიერთებმა მოზრდილ-მოზრდილი თევზებიც-კი გაიბეს ოსტატურად ნასროლ ბადეში: ხელთ იგდეს საზოგადო საქმეები, და რა-კი ერთხელვე ფეხი მოიკიდეს, ოსმან ფაშასავით

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

უმთავრესი საფუძველი დებულებისა, ანუ კანონისა, რომელზედაც არის აშენებული მამულების დახსნის საქმე, ისაა, რომ ვალმა საკომლო („ნადელის“) დასახსნელად აღებულ ვალში ექვსი პროცენტი სარგებელი გადიხადოს. ეს დიდა-აზრი კანონისა ყოველად უსაფუძვლოა და შემცდარი და აკი ამიტომაც ცხოვრებამ სრულიად გაეჭარწყლა, თუ რამე კარგი ჰქონდა კანონს. შემცდარ საფუძველზედ აგებულს კანონს, რასაკვირველია, თვისი მწარე ნაყოფი უნდა მოეტანა და მოიტანა კიდეც. გლეხობა აქაც, ჩვენშიაც, და რუსეთშიაც ისე დაეალინდა, რომ მის დასახსნელად დაღუპვისაგან საჭიროა არა ჩვეულებრივი ღონისძიება. სრულიად მოუხერხებლად და გარემოების შეუფერებლად მიგვაჩნია ფულის გაცემა გლეხებზედ ექვს პროცენტიან სარგებლის აღებით. ჯერ ერთი, ამ ხანად ბაზარი ფულითაა სავსე და, მაშასადამე, რა ტკუაში მოსასვლელია გლეხისაგან ექვსის პროცენტის აღება; მეორე, გლეხის მეურნეობა პირველდელ ყოფაშია, მამა-პაპაენ წესზეა აგებული და როგორ აიტანს ასეთი მეურნეობა ექვს პროცენტიან ვალს? დასავლეთ ევროპის განვითარებული მეურნეობა, ინტენსიურად მიღებული და ცნობილი, ვერ უძლებს ექვს პროცენტიან ვალსა, წელში იზნექება მისის სიმძიმის ქვეშ და, უნდოდათ, რომ ჩვენებურ ტყაპუტიან დაჩამაბიან გლეხს თვისის დანჯღრეულ, მოუხეშავ და ტლანქის გუთნის შემწეობით აიტანა ასეთი ტვირთი!
ისტორიული საბუთი და მოსაზრება, რამაც დაბადა „საკომლოს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახსნის კანონი, მეტის-მეტად საყურადღებოა და პატივ სადები და მხოლოდ ამას შეუძლიან ცოტაც არის გამამართლოს მისი უვარგისობა და ის ვნებაზარალი, რაც მოუტანა ჩვენს ისედაც უბატრონო და დაბრჩავებულს მარჩენალს. მამინ (1858—1860 წ.) მარტო იმასა ჰფიქრობდნენ, რომ მალე ენახათ გლეხ-კაცი მონობისაგან განთავისუფლებული; მარტო იმას ჰხრუნავდნენ, რომ მალე შეესაყიდა მამული და მით მოეხსპო ყოველგვარი დამამცირებელი და დამჩაგვრელი დამოკიდებულება მამულის პატრონთან. ვინ გაითვალისწინებდა მაშინ, რომ დიდ სარგებლიანი ვალი პირქვე დაამხობს მიწის მუშაკსა და პირად მონობის განთავისუფლებულს ნივთიერ მონობაში ამოაყოფინებს თავსა.ის,რაც ეპატივება ისტორიას და ისტორიაში მომქმედს მოღვაწეს, ის აღარ მიეტევება თანამედროვე მოღვაწეს და ამისთვის მალე და დაუყოვნებლივ უნდა გასწორდეს ისტორიული შეცდომა. ვიდრე ჯერ დრო არ წასულა და საქმეს ეშველება რამე, უნდა ვეცადნეთ შეცდომის გასწორებას, თორემ მერმე გვიანლა იქნება, დაგვიანებული სინანული და თავში ცემა ველარას გვიშველის.

შველა და დახმარება ქვეყნის მარჩენალისა ყოველთა უპირველეს ამ ნაირად უნდა მოხდეს: რაც მამული აქვს მიზომილი გლეხ-კაცობას „საკომლო“, მთავრობამ უნდა დაიხსნას თავისის ხარჯით და საფასით; მამულის პატრონს უნდა მისცეს ჯეროვანი სასყიდელი და შემდეგ რაც-კი გაიყიდება კერძო მესაკუთრეებისაგან, ისიც უნდა შეისყიდოს სახელმწიფო ხარჯით და დაურიგოს იმავე გლეხობას სამუდამო სახმარაზლად, დაარა საკუთრად, რაღა თქმა უნდა, უსასყიდლოდ. ნურავინ ნუ იტყვის, რომ ეს ოცნებაა, შეუძლებელი და მოუხერხებელი საქმეა. ნურავინ ნუ მოიტანს იმასაც, რომ სახელმწიფო ხაზინა ღარიბია და უფულობის გამო ვერ იტვირთებს იმისთანა საქმეს, რომელსაც მილიონები პირს ვერ მოსწმენდავს. ეინც ღრმად ჩაუკვირდება საქმეს,

ეალმა დაბრუნება ბევრს დროს, ბარჯსა და შრომას მოინდომებს და ბოგიერთების უკან დეგნაც აღარა ღირს, რადგანაც ჩვენდა სასარგებლოდ მათი წალმა პირის ბრუნება ალარც-კი შეიძლება.

თუ ეს აზრები რამდენად გამმატეგელია სინამდვილისა, ცხადად მაშინ გამოჩნდება, როცა ამდენის ნის ქუთათურ ბრძოლის ველს თვალს გადავავლებთ და როცა გონიერი ადამიანის თვალი, ჩვენდა სამწუხაროდ, კეთილ და მარგებელ ნაყოფის ფილ აღმოცენებულს ეკალ-მაყვალსა და ასკილ-ბაძგარას დაინახავს.

რთულსა და მოზრდილ საზოგადო საქმეებს თავი დავანებოთ, ჯერ-ჯერობით ხელს ნუ ვახლებთ იმ საკითხს, თუ რამდენად დაგვკა ზნეობითად ასეთმა ბრძოლამ, რამდენად გაგვიფუჭა ხასიათი, გაგვიქარწყლა ოჯალაქეობრივი ქველობა. ამათ შესახებ შემდეგისათვის გადავდოთ საუბარი.

დღეს მხოლოდ იმ კოზაკის გამო ვიმუსაიფოთ, რომელიც ამ აყალ-მაყალის გმირ-აქლემებმა გამოსპეტ-

ვინც საფუძვლიანად შეიგნებს სახელმწიფო ჩარხის-ტრიალსა და ბრუნვას, იმისთვის აქ საოცნებო არა აღმოჩნდება-რა. მხოლოდ საჭიროა დიდი გამბედაობა, საჭიროა ფორმალიზმი, მუხრუჭივით შემოვლებული დაბრკოლება მოაშოროს კაცმა და მაშინ ყველა გამოირკვევა. ნათელი და სადი ჭკუა ადვილად მიაგნებს გზასა, რომელმაც უნდა დაიხსნას ერთი და ორი მილიონი მუშა კაცა, თითქმის ას ოცდა ხუთი მილიონი ადამიანი. ამაზე დიდი საქმე რაღა უნდა იყოს სახელმწიფო კაცისათვის, ჩვენ სხვა ვერ-რა წარმოგვიდგენია გონებისთვალით. ესეც კი შეიძლება ვთქვათ, რომ თუ პირველად გაძნელდება ერთბაშად გაკეთება საქმისა, ერთის სიტყვით, ერთის ხმლის შემოქნევით გორდიის ნასკვის გადაჭრა, ვინ დაუშლის, რომ ნელ-ნელა კეთდებოდეს საქმე, ნაწილ-ნაწილ იძენდეს სახელმწიფო მამულებს თვისს საკუთრებად მხვნელ-მთესველის მისაცემად, სამპარად და სასარგებლოდ? საქმე დაწყებაა, საქმე დედა-აზრია და გზის პოვნა, თორემ ფოი-ოცი წელიწადი, რომელიც დასჭირდება საქმის დამთავრებას, არაფერს შეადგენს კაცობრიობის ცხოვრებაში.—

განვიხილოთ საბუთები ჩვენის, თუ გნებავთ, ოცნებისა. მალე შესრულდება ორმოცი წელიწადი, რაც ჰმოქმედობს „ნადელების“ დახსნის კანონი. ამ ხანში მთავრობა აძლევდა გლეხობას ფულს „ნადელის“ დასახსნელად იმ პირობით, რომ ექვსი პროცენტი ეხადა მოვალეს სარგებელში და თავნის მოსაწყვეტად. პირობა ასეთი იყო, კანონს ასე ჰსურდა, მაგრამ ნამდვილად-კი ხაზინას ერთი ბისტიც არ აუღია სარგებელი, რადგან დარჩენილ ხარჯს მილიონობით აპატივებდა ხოლმე დავალიანებულ გლეხობას. დღეს რაც შეუტანელი ხარჯია, წინა წერილებში მოხსენებულ კანონების ძალით უნდა გადაიდოს იმ დროისთვის, როცა თავნი სრულიად მოსწყდება, ე. ი. უნდა გაჭიანურდეს 50—60 წელს. ამას გარდა თვით თავნის ნახევარიც გადაიღება ამავე დროსთვის. განა ეს

ტეს, და რომელსაც გასაზრდელი და გასახარელი პირი ჰქონდა, რომ გულ-შეატკივარი საკმაო მეძუძურები აღმოსჩენოდა, რომ მებრძოლთ იმათთვის პირში ბურთი არ ჩაეჩარათ, ვინც მისი გაზდა-გახარებისათვის სიტყვას იტყოდა, საქმეს იქმოდა.

მე მოგახსენებთ საჯაზაროო სკოლისათვის ადგილის შეძენისა და სახლის აშენების შესახებ.

ახლა უცილობელ ეტმშარიტად არის მიღებული ყველგან და ყველასგან, რომ სკოლის სახლი და ეზო-გარემო შეფერებული და შეფარდებული უნდა იყოს სკოლის საჭიროებასა და ჰიგიენის მოთხოვნილებასთან. ყოველი სკოლის პატრონი, სახელმწიფოა იგი, თუ კერძო კაცი და საზოგადოება, იმის ცდაშია, რომ ამ მხრით სასწავლებელი ყველაზედ უწინ უზრუნველყოფილი გაჰხადოს, მერმე-კი სასწავლებლის სხვა მხრივ გაუმჯობესებისათვის იზრუნოს.

ჩვენთვის-კი ეს ეტმშარიტება თითქო არც-კი არსებობდეს. ოცი წელიწადი შეესრულდება აგერ ქუთაისის საოავად-აზნაურო სკოლას და

თავნისა და სარგებლის გადახდაზ? არც ერთი და არც მეორე. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ხაზინას არც აუღია სარგებელი და ვერც აიღებს. საქმით მთავრობამ სარგებელზედ უარი სთქვა.

ხაზინას იმდენი ფული და საღსარი არა აქვსო, რომ უცბად მილიარდები დახარჯოსო. არც ეს აზრია შესაწყნარებელი. მართალია, ერთის შეხედვით ფული არ მოიპოვება, წლიურს გასავალს წლიურივე ხარჯი სრულიად ჰფარავს, მაგრამ ეს მხოლოდ პირველ შეხედვით გვეჩვენება ასე.

ბევრის მაგალითის მოყვანა შეგვიძლიან იმისი, რომ იმისთანა ძლიერ სახელმწიფოსთვის, როგორიცაა რუსეთის იმპერია, სრულიადაც არაა გასაკვირი ფულის შოვნა.

სახელმწიფომ რომ მოიკრიფოს მთელი თვისი ძალ-ღონე, შეისყიდოს რაც კიდევ თავისუფალი და სასყიდი მამულია და დაურიგოს ხალხს სამუდამო სახმარებლად და სასარგებლოდ, ამ ნაირ მოღვაწეობით სახელმწიფო არც იზარალებს, ნივთიერად მოდონიერებულ მკვიდრისაგან ერთი ორად და ერთი სამად აიღებს ხარკსა, ვიდრე ეხლა იღებს. ლიტრის კაცი რომ 20 მან. იხდის წელიწადში, მისივე მეზობელი, ჩარქის კაცი, ხუთის მანეთის მეტის გადებას ვერ ახერხებს. სახელმწიფოს იდეალიც სწორედ ეს ლიტრის კაცი უნდა გახდეს.

ა. ფრონელი

ახალი ამბავი

⁂ თავდის ლ. ს. გოლიცინის მიერ შეწირულის თანხის 100,000 მანეთის სარგებლით 3,000 მანეთის პრემიების დანიშვნა მთელის რუსეთის საუკეთესო ვენახებისათვის პირველად მოხდება მომავალ 1900 წ. ვისაც პრემიის მიღება ჰსურს, მან თვისის ვენახების ყურძნის ნიმუშები და ამ ვენახების გეგმა-აღწერილობანი უნდა წარადგინოს ორ ა ფ ა ნ ა. ნეს 1900 წლის 1-ლ თებერვლისა.

⁂ ქალაქის გამგეობამ უკვე დაიქირავა სახლი ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის გასამართავად სამის წლის ვადით. ეს სახლი ეკუთვნის ბებუთოვს და იმყოფება რტიშჩევის ქუჩაზედ. სახლის ქირა უდრის 1,200 მან. დარბაზს ეკმნება გასასყიდ ნივთების საწყობიც.

⁂ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, მიანდეთ თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღსრულება თავ. ქობულაშვილს, თავ. მაყაშვილის თანამდებობიდან დათხოვნის გამოო.

⁂ საბჭოს სპეციალისტთა სიტყვით, ნატახტარის წყაროების წყალი ძალიან კარგი სახმარად.

⁂ კავკასიის საბრუშემო სადგური უგზავნის ამიერ კავკასიის მაზრის უფროსებს და ნაწილის მოკაუფებს იმ მაზრებში, სადაც მეაბრეშუმეობა უფრო განვითარებულია, დაწვრილებითს სახელმძღვანელო ცნობებს და ბანდეროლებსა და ბეჭედების ნიმუშებს, რომლებსაც სადგური გამოკვლეულ აბრეშუმის თესლს ასვამს.

⁂ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ საყოველთაო მოწერილობით წინადადება მისცა კავკასიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, ცნობები მოგვაწოდეთ იმ განცხადებათა შესახებ, რომელნიც მიღებული გაქვთ სახელმწიფო ადგილებში მადნების შემუშავების მსურველთაგანაო.

⁂ 23 ნოემბერს მომხდარ საჯარო ვაჭრობით სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილებაში ვადიან გარდასახადის შეუტანლობის გამო გაიყიდა მხოლოდ ერთი მამული (თელავის მაზრისა) 20,000 მანეთად. დანარჩენს 13 მამულზედ-კი, რომელიც აგრეთვე დანიშნული იყო გასასყიდად, ვაჭრობის სურვილი არავის განუცხადებია და ეს მამულები ბანკს დარჩა.

⁂ სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების შესანახად და დასაარსებ-

ლად ქუთაისის გუბერნიაში მომავალ სიმის წლისათვის განზრახულია 9,900 მანეთის გადადება საჯარო ფულიდგან.

⁂ ინჟენერი ლინდლეი, რომელმაც თანხმობა განაცხადა შეადგინოს ტფილისის წყლის მილების გაფართოების პროექტი, დაბრუნდა ბაქოდგან და ამ დღეებში, ქალაქის მოურავთან, გამგეობის წევრებთან და ქალაქის ინჟენერთან ერთად, დაათვალიერებს ავქალის წყლის მილებს და შემდეგ-კი ნატახტარის წყაროებსაც.

⁂ ამიერ-კავკასიის ეპარქიებში განკარგულება მოხდა, რომ ადგილობრივმა ბლაღოჩინებმა გულმოდგინეთ ადევნოს თვალ-ყური მათის ხელ ქვეითის კრებულის მიერ აღსარების სიების შედგენას საზოგადოდ და კერძოდ-კი იმის, რომ კრებულმა აღსარების სიებში განსაკუთრებულის სიფრთხილით აღნიშნოს მეუდღეებად ისეთნი, რომელნიც თუმცა სამუდამოდ ესახლებიან მისს სამრევლოში, მაგრამ მისგან არ არიან ჯვარ-დაწერილნი და თავიანთის ქორწინების შესახებ არავითარს საბუთის ქაღალდს არ ირდგენენ.

⁂ 10 და 11 ნოემბერს ქუთაისში მეაბრეშუმეთა კრებამ დადგინა: სთხოვოს საბალისნო საზოგადოებას შუამდგომლობა აღძრას კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ ნებადართულ იქმნას ასეთისავე კრებების მმართვა კავკასიის სხვა ადგილებშიაც, სადაც მეაბრეშუმეობას მისდევენო.

⁂ დუშეთის ქალაქის 1898 წლის შემოსავალ-გასავლის უწყებიდგან სჩანს, რომ გასავალი აღემატა შემოსავალს 1,980 მანეთით და 64 კაპიკით და რომ ეს დანაკლისი შევსებულ იქმნა 1898 წლამდე დარჩენილ ფულით. მაგრამ 1897 წლის ასეთისავე უწყებიდგან სჩანს, რომ ამ წელსაც გასავალი შემოსავალზედ მეტი ყოფილა. ამის გამო გუბერნატორმა წინადადება მისცა დუშეთის ქალაქის მამასახლისს, ნამდვილი და სწორე

ბის ძალ-მომრეობას და ნიავ ქარს წაუღია ხოლმე.

1888 წლიდგან მოკიდებული ყოველს წელს, ერთი მეორეზედ მიყოლებით ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში თავად-აზნაურთა საბანკო კრებას მოხსენებიდა ხოლმე პროექტი საჯაზაურო სკოლისათვის ადგილისა და სახლის შეძენის შესახებ და ყოველთვის თავად-აზნაურობა აღტაცებით ეგებებოდა ამ პროექტს. კრებათა ოთხი-ხუთი ოქმი ერთსა და იმავეს ჰლაღადებს: შეძენილი იქმნას სახლიც და ადგილიც სკოლისათვის, ხოლო აღსრულება ამისა მიენდოს გამგეობასა და ზედამხედველს კომიტეტსო.

საჭიროდ მიმაჩნია დავასახელო, რა მამულის შეძენასაც ურჩევდნენ კეთილ-გონიერნი მოღვაწენი თავადაზნაურობას.

ეს გახლდათ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის სახლი და მისი ეზოგარემო, რომელზედაც, სასწავლებლის მოსათავსებელ სახლის გარდა სხვა შენიბებიც არის აგებული. ეს ადგილი იყო იმერეთის მეფეთა „ნამოსახლი“, ამიტომ იგი მთავრობამ ქუთაისის გუბერნიაში მომავალ სიმის წლისათვის განზრახულია 9,900 მანეთის გადადება საჯარო ფულიდგან.

⁂ ინჟენერი ლინდლეი, რომელმაც თანხმობა განაცხადა შეადგინოს ტფილისის წყლის მილების გაფართოების პროექტი, დაბრუნდა ბაქოდგან და ამ დღეებში, ქალაქის მოურავთან, გამგეობის წევრებთან და ქალაქის ინჟენერთან ერთად, დაათვალიერებს ავქალის წყლის მილებს და შემდეგ-კი ნატახტარის წყაროებსაც.

⁂ ამიერ-კავკასიის ეპარქიებში განკარგულება მოხდა, რომ ადგილობრივმა ბლაღოჩინებმა გულმოდგინეთ ადევნოს თვალ-ყური მათის ხელ ქვეითის კრებულის მიერ აღსარების სიების შედგენას საზოგადოდ და კერძოდ-კი იმის, რომ კრებულმა აღსარების სიებში განსაკუთრებულის სიფრთხილით აღნიშნოს მეუდღეებად ისეთნი, რომელნიც თუმცა სამუდამოდ ესახლებიან მისს სამრევლოში, მაგრამ მისგან არ არიან ჯვარ-დაწერილნი და თავიანთის ქორწინების შესახებ არავითარს საბუთის ქაღალდს არ ირდგენენ.

⁂ 10 და 11 ნოემბერს ქუთაისში მეაბრეშუმეთა კრებამ დადგინა: სთხოვოს საბალისნო საზოგადოებას შუამდგომლობა აღძრას კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ ნებადართულ იქმნას ასეთისავე კრებების მმართვა კავკასიის სხვა ადგილებშიაც, სადაც მეაბრეშუმეობას მისდევენო.

⁂ დუშეთის ქალაქის 1898 წლის შემოსავალ-გასავლის უწყებიდგან სჩანს, რომ გასავალი აღემატა შემოსავალს 1,980 მანეთით და 64 კაპიკით და რომ ეს დანაკლისი შევსებულ იქმნა 1898 წლამდე დარჩენილ ფულით. მაგრამ 1897 წლის ასეთისავე უწყებიდგან სჩანს, რომ ამ წელსაც გასავალი შემოსავალზედ მეტი ყოფილა. ამის გამო გუბერნატორმა წინადადება მისცა დუშეთის ქალაქის მამასახლისს, ნამდვილი და სწორე

ცნობები წარმომიდგინეთ ამ საგნის შესახებაო.

*** გზათა უწყების სამინისტროს განკარგულებით ყარსის რკინის გზა პირველ დეკემბრიდან უნდა გარდაეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას. ამასთანავე ამ მმართველობას მიეწერა, რომ დაადგინოს წესიერი მოძრაობა მატარებლებისა ტფილისსა და გუმბრს შორის, ხოლო გუმბრსა და ყარსს შორის-კი დროებითი მოძრაობა იყოს.

*** პარასკევს, 26 ნოემბერს, საღამოს 5 საათსა და 40 წუთზედ, რკინის გზის სადგურის ბაღში ამ გზის კონდუქტორად ნამყოფმა, კუსკის გუბერნიის გლეხმა სტეფანე მურავლიოვმა ხანჯლით მოჰკლა ობერ-კონდუქტორი ყარსის რკინის გზისა გრიგოლ ივანესძე შენგელია. მკვლელსა და მოკლულს ამ სამის წლის წინად უცხოსტუნნიათ ერთად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ და ხეტეთან ერთად სადგურ მცხეთასა და ავჭალას შუა გაუქურდავთ საქონლის ვაგონი. როგორც ამბობენ, მოკლული დაპპირებია თავისს ამხანაგებს მურავლიოვსა, ნოსოვსა და ხაჩიძეს, ფულს მოგცემო, ოღონდ ქურდობის ბრალი თქვენ აკისრეთ და გადამარჩინეთო. საქმე ასეც მომხდარა. ვითომ მურავლიოვი და ნოსოვი პატიმართა როტაში გაუგზავნიათ ორ-ორის წლით და ხაჩიძე-კი მეტების საპყრობილეში დაუმწყვდევიათ, სადაც იგი ესლაც იმყოფება. ამ ქურდობის ალმოსაჩენად ბევრსა სცდილა ანდერძმა ვიზისტრი ოზეროვი, მურავლიოვის მეზობელი. 26 ნოემბერს მურავლიოვს სასჯელის ვადა გაუთავდა თურმე, ბაქოდგან ტფილისში ჩამოვიდა და სადგურზედ დიდხანს კითხულობდა ოზეროვს, მაგრამ ვერსად ნახა. საღამოზედ შეხვდა შენგელიას და მკერდში მარცხნივ სასიკვდილოდ დასჭრა ხანჯლით. დაჭრილი შენგელია გაიქცა სადგურისაკენ, სადგურის ასაკელ კიბეზედ დაეცა და შესძახა: „კვდები, მურავლიოვმა მომკლა.“! როგორც ეწერა ეფიმობენ, მკვლელი მაშინვე მივარდა

ბელს სადგომებს, თავა-აზნაურობის დეპუტატია საკრებულოს, ბანკის სადგომეობა სახლს, და „ოქროს ჩალდაყის“ ნანგრევ-ნაშთზედ მუზეუმსაც ავაგებთო. რა კარგი იქნებოდა!!.

თავად-აზნაურობა, როგორც ზეგით მოვიხსენიეთ, დიდის თანაგრძნობითა და აგიტაციებით ეგებებოდა ყველს კრებაზედ ამ სასიკეთო წინადადებას, მაგრამ ქალაქებაც და ეპარქიებაც თავად-აზნაურთავე ნდობელთა დაბეღვერობას, გულიკოვობასა და პირადს ინტერესებს ენარცხეზოდა და პირადისავე ინტერესების ბრძოლის მორევში იღუპებოდა.

ეს ვეებერთელა ქალაქის გული ადგილი და ამდენი შენობები მაშინ 20 ათას მანეთად ჰფასობდა მხოლოდ. პატრონები დიდის შეღავათით ეძლეოდნენ ამ მამულს, თუ მყიდველები გულით მოეკიდებოდნენ.

ახლა ვიკითხოთ, რა უშლიდა თავად-აზნაურობის ნდობელთ კრების სასარგებლო სურვილის განხორციელებასა და აღსრულებას? უთუოდ დაუღალობა, ან ვისმესთან პირადის ანგარიშს გასწორების სურ-

თურმე დაცემულს შენგელიას და რაკი დარწმუნდა, რომ მოკლულია, გაიქცა და აქამდე ვეღარ უპოვნიათ. მოკლულს შენგელიას გვამი რკინის გზის საავადმყოფოში წაასვენეს. მოკლულს ცოლი და ოთხი შვილი დარჩენია.

*** ბაქოელი ვაჭარი ი. ნ. ტერაკოფოვი, ი. მ. ტობიასი და პეტერბურგელი ვაჭარები ა. ი. ზარინგი და ო. ა. დემბო აარსებენ ნავთობმწარმოებელ საავაჭრო საზოგადოებას ი. ნ. ტერ-აკოფოვისას. საზოგადოების ძირის თანხა უდრის 4.500,000 მანეთს, რომელიც გაყოფილია 18,000 აქციად.

*** მომავალ 1900 წლის 30 ივნისს ოცი წელიწადი შესრულდება ქუთაისში ქალაქის თვით-მმართველობის შემოღების დღიდგან.

*** იმ კომიტეტმა, რომელსაც მინდობილი აქვს 1901 წლისათვის კავკასიის საბაღოსნო გამოფენის გამართვა, წინადადება მისცა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, დეპუტატი დანიშნეთ თქვენის მხრივ კომიტეტშიო. განზრახვა აქვთ შეიმუშაონ ამ მოკლე ხანში გამოფენის დაწვრილებითი პროგრამა, აირჩიონ ადგილი გამოფენის გასამართავად და თავისს დროზედ შეატყობინონ გამოფენის გამართვის ამბავი ყველა ადგილობრივს მეგობრესა და მემამულეს.

*** როგორც ისმის, სატყეო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული კავკასიის ტყის მეურნეობის საქმეთა გაუჯობესების შესახებ.

*** გუშინ, 27 ნოემბერს, ბაქოდგან ტფილისში მოსული მესამე კლასის ვაგონში იპოვნეს გარდაცვალებული დედაკაცი 70 წლისა, მაჰმადიანი. ეს დედაკაცი უცბად გარდაცვლილა ნავთლუღსა და ტფილისს შორის.

*** როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, წელს აუარებელი აბრეშუმის გრენი (თესლი) შემოუტანიათ უცხო ქვეყნებიდგან. ჯერ ჯერობით კავკასიის სააბრეშუმო სა-

ვილი, თავისი ინტერესი, თორემ მეტი სხვა მიზეზი ვერაფერი ვერ მოეზიზრიკეთ.

ამბობენ, ვითომც მაშინ ბანკს იმდენი საშუალება არა ჰქონდა, სარგებელი იმდენი არა რჩებოდაო.

ამის პასუხად აი რა უნდა ამოვწეროთ:

„Министру финансовъ предоставляется по ходатайствамъ, основаннымъ на постановленіяхъ общихъ собраній акціонеровъ, разрѣшать симъ банкамъ пріобрѣтать дома для помѣщенія ихъ правленій на полномъ правѣ частной собственности съ тѣмъ, чтобы потребные на это расходы были относимы на счетъ прибылей, или запасного капитала Банка. Уставъ кредитный, ст. 44.

თუ წმინდა მოგება, საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნული, არა გვყოფნიდა, ეს კანონი ხომ სრულს ნებას გვაძლევდა ნაგულავებს—სათადარიგო თანხას შეეხებოდით; არავის პირის დაყოფა არ შეეძლო. ეს თანხა კი, კარგი ხანია მას აქვთ, რაც 100,000 მანეთს აღემატება.

დიაღ, ეს თანხა უნდა მოგვეხმარებინა და მიუცილებლად მოჩქარებით უნდა შეეკეთა-და ხ'ენებული

მამული,—ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მთელს ქუთაისში სხვა ისეთი დასამხარზედ ამდენი და ასეთი მომარჯვებული ადგილი, სადაც ბანკის მოსათავსებელი სახლის კალთასა და გარემოს თავს შეიფარებდა სკოლაც, დეპუტატთა საკრებულოც, მოწფიფთა ბინებიც და მუზეუმიც, არსად მოიპოვებოდა და, მეორედ, იმ შინით, რომ ამ მამულის მუშტარი, ოქროებით ჯიბე გატენილი ხაზინა მამულის პატრონებს კარზე ტალახს უშრობდა.

კიდევ იყო ერთი მამული, ნიკოლაძისეული, რომელსაც ეზლანდელი პატრონი ბ-ნი ვიტუშინსკი ორი-სამის წლის წინად 15 ათას მანეთად იძლეოდა, დღეს არც 32 ათასად შეეძლეო. ეს მაინც შეგვეძინა სიიაფის დროს. ვერც ეს მოვახერხეთ.

ახლა-კი, როცა სკოლის სახლის აუშენებლობა არ გვარგია და არ გვარგია აი რატომ:

Хорошая физическая обстановка, какъ извѣстно, половина успѣха. Просторное и хорошо вентилируемое зданіе, помѣщеніе для класса такое, чтобы можно было сходиться и находиться безъ смущенія и столкновеній. Вотъ первыя условія дисциплины. Бенеке, стр. 93.

ახლა ვამბობ, ქუთაისში სრულიად არ მოიძებნება შესაფერს და დასამხარს ალაგზედ სკოლის მოსათავსებელი ადგილი.

რა ვქნნათ ახლა, რომ ადგილი უნდა ვიშოვნოთ და სახლი უთუოდ უნდა ავაშენოთ, რა მოვაგვაროთ, რომ წარსული შეცდომათა გზას გვერდი ავუვლიოთ? აი, საკითხი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს და გადა სჯას ამ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ბანკიდგან დასაბარებელ ფულის საზოგადო საქმეებისათვის გამწყაზრება და დანიშნულება.

12-ს სექტემბერს შეიკრება პირველად ამ კომისიის რამდენიმე წევრი, მაგრამ ვერაფერს საგანზე მსჯელობა ვერ იქონიეს, რადგანაც, ჩვეულებრივ, პირველს სხდომაზედ მეტად მცირე ნაწილი დაესწრო კომისიისა. შემდეგისათვის საიმედოა, კომისია საზნაურო სკოლის სახლის შენებისა და ადგილის შეძენის შესახებ ზრუნვას პირველს ალაგს დაუთმობს. ნუ დავივიწყეთ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის დაარსებიდგან (1880 წ. თებერვალი) დღემდე სახლის ქირად გასულა 54,000 მანეთი, იმისას თუნდა ნურას ვიტყვით, რამდენად სკოლის მოთხოვნილების შესაფერი იყო ნაქირავები სახლები.

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, რომ სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ ჩვენი აზრი ისაა, რომ შეძლებისა და გვარად აღვნუსხოთ ის შეცდომები და წაგებული საქმენი, რომლებიც პირდაპირი შედეგია ქუთაითურ ბრძოლისა—ისეთ ბრძოლისა, რომელშიაც ავი ელემენტი გამარჯვებული გამოდის, ამიტომ წვრილმანების გვერდის ავლა არ გვიხერხდება. ამასთანავე გვინდა გამოვარკვიოთ, ის აზრობდა, რომ „ვიყვარეოდით ურთიერთარს“-ის პრინციპს დავსდგომოდით, თუ ისა სჯობს, რომ შენ-ჩემიობა და კერძო სიკეთე და ანგარიში გავიხადეთ ხელმძღვანელად საზოგადო საქმეებისათვის ზრუნვის დროს?!..

Amicus

რუსეთი

— უწმ. სინოდთან შემდგარი გაწესაკუთრებული კომისია შესდგომია საპენსიო წესების შემუშავების ქალაქისა და სოფლის მღვდელთათვის. პენსიის მისაღებ ვადად აზრადა აქვთ 35 წელიწადი დანიშნონ. ქალაქი ს დეკანოზებს დაენიშნებათ—430 მანეთი, ქალაქის მღვდლებსა და სოფლის დეკანოზებს—360მანეთი, სოფლის მღვდლებს—240 მანეთი, ქალაქის მთავრებს—240 მანეთი, სოფლის მთავრებს—180 მანეთი. მედავითნეს პენსია არ დაენიშნებათ.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ახალ-შენი-თავ-შესაფარი ამ სამინისტროში მოსამსახურე სულით-ავადმყოფთა და იმათ ოჯახის წევრთათვის.

უცხოეთი

საფრანგეთი. როგორც დეპეშებით ეცნობა, საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 15 ნოემბერს ნება დართო მთავრობას თავისი წარმომადგენელი იოლდოს კიტეკანში (რომის პაპის სასახლეში) და ამ საქმისათვის 50,000 ფრანკი გადასდო. ამ საკნის განხილვის დროს დეპუტატთა შორის დიდი კამათი სტუდა. საკრარა ეიტოდეთ, რომ საბიუჯეტო კომისია წინააღმდეგი იყო ამ ხარჯისა და მისი თავმჯდომარე, რომელსაც ჰკრეთეე ბეკრი სხვა დეპუტატიც მეეთხრა, თვ.-გამოდგებთ იტყვდა თავისს მოსაზრებას. როგორც მოსალოდნელი იყო, კარეშე საქმეთა მინისტრი დეკანსე კომისიის დადგენილებას წინ ალუდგა და, განსაკუთრდა-რა, რომ საფრანგეთის ინტერესები ამის ითხოვსო, პალატას სთხოვა ასეე შეეტანა ხარჯთ-აღრიცხვაში 100 მანეთისა. პოლიციას ჯერაც არ აღმოეჩენია ქურდები.

*** 26 ნოემბერს პოლიციის მე-6 ნაწილში პოლიციამ შეიპყრო 40 უპასპორტო კაცი.

50,000 ფრანკი. თუმც ეს კითხვა სასჯელშეფოფოს, როგორც ეროვნ გერმანია და რუსეთი, თბილისი წარმომადგენლები კი ჭეკეთ კიტეკანში, საფრანგეთს უფრო უნდა ჭეკედეს, რომელიც კეთილეკეთ დადს სასჯელშეფოფოს შეადგენენო,—სთქვა მინისტრმა. საფრანგეთს ეს შეუძლიანო,—განაგრძო მან,—გეკერდი ეუსეთის თავისს სამდეკდეოების დამოკიდებულებას პაპისთან, და რადგან ეს ასეა, საფრანგეთის წარმომადგენელის ეოფფა კიტეკანში მიუტიდებელ საქმიანობას შეადგენსო. დეკანსეს შემდეგ იოლპეარკა მეზეფერმა, საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ. ორატორის აზრით, „წარსულმა მოიკლა საფეელი და ის მეუზეუმი უნდა მიეცეს შესანახად. საეორო სასჯელშეფოფომ, როგორც საფრანგეთის, თავისი წარმომადგენელი ეს უნდა გაგზავნოს კიტეკანშეო“. მეზეფერის წინადადებას წესი ეუფო ცნობიდმა სასჯელშეფოფო მოდეკეეეა—რაბომ. რესეფიდეკეკეეთო,—წარმოსთქვა მან,—გამბატიდგან მოეოდებული დეკონ ბურეეკმდის, ეკეკდანი თხოეოდანენ, რომ წარმომადგენელი გეეოდოდა პაპის სასახლეეთო. (ბურეკეეს განაცხადა, რომ მე ეხლაც ამ აზრისა ვარ, რომ კეკეკეკ გეეკეკდეოო). მე წინააღმდეგი ვარ მეზეფერის სიტეეკეებისა, რომელიც გეერეკეკ, რომ ჩვენი წარსული მეზეკეეეეა ეკეინახოოო, ლაპარაკი ამის შესახებ რადა, ნდობა ბიუჯეტსადმი მთავრობას, თუ ეარ, ანუ გეერეეეს პაპა, თუ ეარ, არამედ საფრანგეთის ინტერესების შესახებ გეკეკეს მსჯელობაო. დეპუტატის სამბის სიტეკეის შემდეგ, რომელიც წინააღმდეგი იოლდანის ეოფფისა კიტეკანში, პალატაში ხმების მოკრეკის შეუდგენენ და 349 ხმის უმეტესობით 202-ს წინააღმდეგ მთავრობის წინადადება შეეწინააღეკეკ აქმნა.

—

ᲐᲕᲭᲝᲠᲘᲐ. ჩეხეთ-ტაგში კამათი იყო ამ დღეებში უნგრეთთან შეთანხმების გამო ამბრეთის შესახებ ხარჯის გაღების შესახებ. ჩეხმა მასტალკამ ჩეხეთს ენაზედ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, და თუმცა თანხმობა განაცხადეთ-შეთანხმების შესახებ მეორეკეკეთა მხრივ, მაგრამ ძალიან გაჭეკიანა სამი-

ისის სათავად-აზნაურო სკოლის დაარსებიდგან (1880 წ. თებერვალი) დღემდე სახლის ქირად გასულა 54,000 მანეთი, იმისას თუნდა ნურას ვიტყვით, რამდენად სკოლის მოთხოვნილების შესაფერი იყო ნაქირავები სახლები.

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, რომ სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ ჩვენი აზრი ისაა, რომ შეძლებისა და გვარად აღვნუსხოთ ის შეცდომები და წაგებული საქმენი, რომლებიც პირდაპირი შედეგია ქუთაითურ ბრძოლისა—ისეთ ბრძოლისა, რომელშიაც ავი ელემენტი გამარჯვებული გამოდის, ამიტომ წვრილმანების გვერდის ავლა არ გვიხერხდება. ამასთანავე გვინდა გამოვარკვიოთ, ის აზრობდა, რომ „ვიყვარეოდით ურთიერთარს“-ის პრინციპს დავსდგომოდით, თუ ისა სჯობს, რომ შენ-ჩემიობა და კერძო სიკეთე და ანგარიში გავიხადეთ ხელმძღვანელად საზოგადო საქმეებისათვის ზრუნვის დროს?!..

Amicus

ნისტრის დადგენილება, რომელიც მე-14 შუხლის ძალით მოურიგდა უნგრეთის მთავრობას სსენებულ საკნის შესახებ. სხვა დეპუტატებმაც ლაპარაკეს ჩეხურს ენაზედ, და ხორვატმა ბანკინამ—ხორვატულზედ. ერთს ნემეც დეპუტატს, რომელმაც იკითხა, თუ პალატის ბიურო რატომ დებულობს ჩეხურს ენაზედ დაწერილს ქაღალდებსო, კრების თავმჯდომარემ აუხსნა, რომ ჯერ-ჯერობით ეს ენა ოფიციალურად ოფიციალურ ენად იცის ნემეცური ენა, უფლება აქვს თავისს შუამდებარეს ენაზედ დაწერილი ქაღალდები მიართვას პალატას და თავმჯდომარეს �გრეთვე ორ შეუძლიან ვინმეს დაუშალოს თავისს სამშობლო ენაზედ დაპირობა.

როგორც გაზეთები ამბობენ, ჩეხები თანხმანი არიან კლარის სამინისტროს ორ დასტენ, მაგრამ სამაგერგოდ, სხვათა შორის, თანხელენენ, რომ, ჩეხურ ენისათვის უფლების მანაშუბის გარდა ჩეხთა ოდენენი, ჩეხური უნივერსიტეტი დაკეთდეს მორავიაშიო. ნემეცებს თანხმობა განუცხადებიათ მარჯვედ მოთხოვნილების შესახებ, მაგრამ სურთ თურმ, რომ ეს სიტყვა კარგლის წვდეს მაშინ, როდესაც პალატა განიხილავს სავრეთო კანონ-პროექტს საზოგადოდ ენათა შესახებ. რათა გაწერეგებს თავი დაახწიოს, კლარის განუზრახავს ერთმანეთის მოალბანეგოს ნემეცები და ჩეხები. მინისტა-პრეზიდენტმა ნამეფოს თვ. ვინდიშგრეტს უკანონოდ კონფიგურეცია მოახდინოს ჩეხებისა და ნემეცების დეპუტატებისა. თუ კონფიგურეცია უსაფოფოდ არ ჩაიარა, ე. ი. ერთმანეთი შორის მორიგდენ ნემეცები და ჩეხები, როგორც ჭფიქრობენ, ვინდიშგრეცი ჩქარა გახდება სამინისტროს უფროსად.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ

(ამოკრეფილი ამბები)

როგორც გაზეთები იუწყებიან, შემდეგი სასაცილო ამბავი დაჰმარეზეიათ ამას წინად ვენის მასწავლებელთ და მეცნიერთ. ეუჩაში უნახავთ გულ-წასული ახალგაზდა ქალი. ქალი მაშინვე საავადყოფოში წაუყვანიათ და დაუწყვინათ. როდესაც ავადმყოფი გონს მოსულა, ლაპარაკი დაუწყია, მაგრამ რაღაც ისეთ უცნობ ენაზედ, რომ ვერავის ვერაფერი გაუგია. რადგანაც ქალი შავგრემანი ყოფილა, ექიმებს უთქვამთ, რომ ევროპიელი არ არის, აღმოსავლეთის ერთ-ქვეყნიდგან ულდა იყოსო; ამიტომ იმის გასაგებად, თუ უცნობი ქალი რა ენაზედ ლაპარაკობს, უნივერსიტეტიდგან რამდენიმე პროფესორი მიუწვევიათ, „ღიმისაკლეთ“ ენებისა, რომელთაც დაუგდიათ-რა ყური ქალის ლაპარაკისათვის, ის დასკვნა დაუდგენიათ, რომ უცნობი აღმოსავლეთის რომელღაც ენის დიალექტზედ ლაპარაკობსო. სპარსელთა ენის პროფესორი ამტკიცებდა, რომ ქალი სპარსულ ენის ერთ-ერთ დიალექტზედ ლაპარაკობსო, მეორე პროფესორი—აბაშურსაო, მესამე კიდევ—ოსმალურსაო. ეს კამათი უფიფად დიდხანს გასტანდა, პოლიციას რომ ზომები არ მიეღო და ქალის ენაობის გაგებას არ შესდგომოდა. მალე გამოირკვა, რომ ქალი უნგრელი ყოფილა, საპყრობილედგან გამოქცეული, ამასთან, არც ოსმალური, არც აბაშური და არც სპარსული არა სცოდნია. ქალს ექიმებისა და პროფესორების გადასარევად, განგებ დაუწყია რაღაც სიტყვების ბოდვა და ლაპარაკი.

* * *

ამას წინად ერთი ნიუ-იორკელი გაზეთი მთელი ორი კვირა ჰბეჭდავდა თავისს ფურცლებზედ ერთის მანდილოსნის სურათს და ამასთან აცხადებდა, ვინც ქუჩაში იმ ქალს იცნობს, ვისიც ეს სურათია, რედაქციისგან 50 მანეთს მიიღებსო. ამ პრემიამ უსაქმო ხალხი და „ბულვარისტები“ სულ ფეხზედ დააყენა. ამ ვაკანტიანების წყალობით ქუჩაში ქალს თავისუფლად გავლა აღარ შეეძლო. ბოლოს ისე გასჭირდა საქმე, რომ პოლიციამ რედაქციას ამ უცნაური რეკლამის ბეჭდვა აუკრძალა.

* * *

საზღვარ გარეთ, შვეიცარიასა და საფრანგეთში, ზოგიერთ ქალაქებში ამ ბოლოს დროს ქუჩებს შუშით ჰკირწყლავენ. შუშებს ოთხ-კუთხს აკეთებენ, აგურის მაგვარს და სქელს, ამასთან ისე მაგარს, რომ სიმაგრით ქვა ვერა-კი შეედრება თურმე. მინით მოკირწყლულ ქუჩაზედ მტვერი სრულიად არა ჩნდება თურმე. ასეთი ქუჩა ცოტათი ასფალტით მოკირწყლულ ქუჩასა ჰგავს.

* * *

როგორც ვუწყით, დღეს ძალიან არის გავრცელებული კნეიპის სისტემით ანუ წყლით მკურნალობა. ბევრსა ჰგონია, რომ ასეთი მკურნალობა პირველად მღვდელმა კნეიპმა შემოიღოო, ნამდვილადკი-კი მკურნალობა შემოღებულია პრისსნიტიცის მიერ. ამას წინად სწორედ ასი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ეს პრისსნიტიცი გარდაიცვალა. გაზეთებში ამის გამო მოკლე ბიოგრაფიული ცნობებია ამ შესანიშნავკაცისა. ვინცენტ პრისსნიტიცი დაიბადა გრეფენბერგში (სილეზიაშია) 4 ოქტომბერს 1799 წელს. მამა ვინცენტისა ღარიბი გლეხი, ადრე დაბრმავდა, და მთელი ოჯახის მოვლა-პატრონობის საქმე ახალგაზდა პრისსნიტიც დაიწყო. თავისუფალ დროს ახალგაზდა გლეხი ძროხებს აძოვებდა ხოლმე იქვე მახლობელ ტყეში და ამ დროს პირველად მოუხდა იმის გაგება, თუ წყალი რა საუკეთესო სამკურნალო საშუალება ყოფილა. ერთხელ „პიწაზედ წამოწოლილიმა პრისსნიტცმა დაინახა მონადირისგან ფეხში დაჭრილი მშველი როგორ ლას-ლასით მივიდა პატარა მდინარესთან და იქ წყალში ჩაწვა. ამ დღიდგან ეს მშველი ყოველ-დღე მიდიოდა მდინარესთან და შიგა წვებოდა, ვიდრე ფეხი სრულიად არ მოურჩა და კოჯლობისაგან არ განთავისუფლდა. შემდეგ, 1814 წელს პრისსნიტცი მარხილ ქვეშ მოჰყვა; სხვაფრივ უფნებელი გადარჩა, ბოლოდ მარხილმა ერთი თითი მოსტეხა. პრისსნიტცს მაშინვე მოაგონდა მშველის ამბავი, ჩაჰყო წყალში თითი ნისლისა და ტკივილის შესაჩერებლად, შემდეგ სველი ტილო შემოიხვია თითზედ და რაღაც კიდევ სხვა მშრალი ტილო. ამ მკურნალობამ ძალიან მალე მოუჩინა პრისსნიტცს თითი. 2 წლის შემდეგ ახალ-გაზდა გლეხს კიდევ შემთხვევა უნდერეგა. ურეგში შებმული ცხენი დაფეთხა, ურეგი გადაუბრუნდა და ამ დროს თითოსაც ძალიან დაზავდა. წყალმა აკაკარგი ნაყოფი მოუტანა. მალე ორმა თვე სამმა სხვა ასეთმა მკურნალობამ პრისსნიტცს სახელი გაუთქვა. ბევრი დაზავებული მოდიოდა და ეზვეწებოდა წყლის შემწეობით მორჩენას. 1826 წელს პრისსნიტიცმა გამართა ქალაქ გრეფენბერგში პირველი წყლით სამკურნალო, არავითარ წამალს, გარდა წყლისას, პრისსნიტიცი ამ სამკურნალოში არა ხმარობდა. აუარებელმა ხალხმა დაიწყო სამკურნალოში სიარული. მალე პრისსნიტცის მაგალითს სხვათაც მიჰმართეს და გერმანიის სხვა ქალაქებშიაც დაარსეს ასეთი სამკურნალოები. პრისსნიტიცი გარდაცვალა 1851 წელს.

ᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

რედაქციამ მიიღო „თამარ მეფე“,—მეორე, შევსებული გამოცემა ზ. ეკეკინაძისა. ეს გამოცემა 36 გვერდს შეიცავს და ჰღირს ორ შაურად.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა საააგენტოსაგან)

26 ნოემბერი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გიორგის დღესასწაულისა გამო, სახიზმორო სასახლეში მოხდა უმაღლესი გამოსვლა დიდს ტაძარში, და შემდეგ გიორგის დარბაზში, სადაც საეკლესიო პარადი იყო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. დღეს, წმ. გიორგის დღესასწაულისა გამო საქალაქო მანეეში, დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძისა და მისის მეუღლის თანდასწრებით, პარადი მოხდა.

განსვენებულ ცესარევიჩის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნა გარდახდილ სასახლის ეკკლესიებსა, უნივერსიტეტსა და საშუალო სასწავლებლებში.

ᲙᲠᲔᲢᲠᲘᲐ. 24 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო“. ამბავი მოვიდა, რომ დღეს, 6 საათზედ, მდინარე მოდდერის მახლობლად ბრძოლა ასტყდაო.

ᲙᲣᲠᲘᲜᲚᲐᲜᲓᲘᲐ. (კაპის ახალშენი), 23 ნოემბერი. აქ მოსულმა დორდრეხტელმა კაცმა ილაპარაკა, რომ ბურებს, დორდრეხტში შესვლის დროს, იქაური მცხოვრებლები აღტაცებით მიეგებენენო.

ᲛᲐᲓᲐᲚᲐᲢᲘᲐ. 18 ნოემბერი. ყოველ-გვარი მზადება არის, რომ ხვალ ყველა აქ დამბაკეტული ჯარებით მტრისაკენ გაელაშქრონ, შეაკეთონ რკინის გზა და მეფკინგამდისინ ამ. ბის მტან-მოტანა აღადგინონ.

ᲚᲝᲠᲔᲛᲔᲪ-ᲛᲐᲠᲙᲘᲖᲘ, 24 ნოემბერი. აქ მოვიდა გერმანიის გემი „König“ გერმანიისა და ჰოლანდიის წითელის ჯვრის რაზმებით, რაზმებს დაუხვდა გერმანიის კონსული ტრანსვაალში. ხვალ ისინი წავლენ ტრანსვაალში საავადმყოფო მატარელით.

ᲙᲣᲠᲘᲜᲚᲐᲜᲓᲘᲐ. (კაპის ახალშენი), 23 ნოემბერი. ლიდი-გრეიდგან მოსული ცნობით, დორდრეხტი ორანჟელ ბურებს როდი დაუპერრიათ, არამედ კაპის ახალშენის მემბოხეებს.

27 ნოემბერი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ჰბრძანა პეტერბურგს იქმნენ მიწოდებულნი უწმიდესს სინოდში დასაწერებლად სინოდის პირველ დამწერა წევრი მიტროპოლიტი იოანნინაკე და ყოველად უსამღვდელოესნი მიტროპოლიტი მოსკოვისა ვლადმირი და მთავარ-ეპისკოპოსი ყაზანისა არსენი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ორანჟ-რივერიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ დღეს დილით გრასტონთან აფეთქებულ იქმნა სარკინისგზო შენობანი და გადაჭრილია ტელეგრაფი.

ᲚᲔᲓᲘ-ᲡᲐᲛᲘᲗᲘ. 19 ნოემბრიდგან დაწყებული მოკლულია სულ 5 აფიცერი და 26 ჯარის-კაცი; დაჭრილია 15 აფიცერი და 130 ჯარის-კაცი; სამი ჯარის-კაცი ვეღარსად იმოვნეს. ბურები ისევ გარს მეჯდრო ალყად არტყია ქალაქს. ქალაქში მშვიდობიანობაა და ყველანი მხნედ არიან.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. დილის გაზეთები ჭლაპარაკობენ რა იმის შესახებ, რომ სამხედრო სამი ისტრომ გამოაცხადა, მეტუენდგან დღეს აღარაფერი ცნობა არ მოსულაო, იმ აზრისანი არიან, რომ აშკარაა, მეტუენი განუცალკევებია მტერსაო. დიდად შეწუხებულნი არიან. ამბობენ, რომ მინისტრთა სხეულში ბეჭობა ჰქონდათ კაპსკის ახალშენის აფრიკანდერთა შესახებ. ხმა დადის, რომ დიდი შეთქმულობაა აღმოჩენილი. უეცველია კაპშტადტში მრავალნი იქმნებიან დაპატიმრებულნი.

ბრიუსელიდგან აუწყებენ დილის აგზეთებს, რომ კაპსკელ ჰოლანდიელთა შორის ამბოხება თან და თან ჰმატულობს და ხელს უშლის ფრენჩისა და გატეკრას ორივე დივიზიასო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ტკივილები გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის შეუმცირდ; მადა მოუვიდა; ტემპერატურა ზომიერი აქვს.

შეტერბურგის ბირჟა, 26 ნოემბერი.

	მეოთხედ-ლისა.	მეოთხედ-ლისა	მეოთხედ-ლისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5% ნ. მომგებიანი ფასიანი ფურცლები ახალშეფიფო ლ - ახნაურო ბანკისა	— „	— „	215¾
3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „	— „	93
6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა .	— „	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	— „	99 „	— „
5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა	94¾	— „	— „
4½% იმავე ბანკისა	— „	94	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო სახოგადოებისა . . .	— „	— „	— „
4½% იმავე სახოგადოებისა. . .	— „	— „	90
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	316¾
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	— „	— „	273½

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

ᲓᲠᲝᲜᲗᲘᲗᲘ ᲡᲝᲤ. Დ—ᲕᲘ. ᲛᲔᲣᲦᲔ ᲩᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲭᲔᲓᲔᲗ.

ᲓᲔᲚ ᲕᲘ—ᲘᲡ. „ᲛᲒᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲫᲒᲐᲛᲐᲗ“ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲭᲔᲓᲔᲗ.

Ძ. Ძ—ᲮᲘ Დ. Ბ—ᲫᲘᲡ. არ დაიბეჭდება.

ᲘᲠᲔᲕᲘ. Ხ—ᲠᲝᲡ. თქვენი პასუხი არ დაიბეჭდება.

ᲘᲕ. Რ—ᲕᲘᲚᲘᲡ: „სად ვიყავით აქამდის“ არ დაიბეჭდება.

Ძ. ᲕᲔᲚᲣᲩᲐᲫᲔ. Ზ. Ჯ—ᲠᲘᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲔᲚᲘᲡ. გმადლობთ წერილის გამოგზავნისათვის, მაგრამ დაბეჭდვით კი ვერ დავბეჭდავთ, რადგან ძველის საქმის განახლება საინტერესოდ არ მიგვაჩნია.

ᲡᲐᲓᲖ. ᲗᲐᲛᲘᲜᲐᲠᲘ. Ს. ᲐᲑ—ᲐᲫᲘᲡ. გაზეთი ყოველდღე მოდის და თუ თქვენთან ორი ნომერი ერთად, ან ᲠᲓᲔ გამოვბეთ მოგაქვთ, ეგ ფოსტის ბრალია და ამიტომ ისევ ფოსტას ჰიჰმართოთ.

ᲚᲝᲗ. ᲠᲘᲜᲘ. Ბ. ᲠᲘᲜᲘᲡ. არ დაიბეჭდება.

ᲗᲘᲡᲘᲡ. არ დაიბეჭდება.

Ს. ᲑᲘᲫᲘᲡ. ბიოგრაფია არ დაიბეჭდებაა

ᲛᲐᲡᲬᲐᲒ. ᲜᲘᲜᲝᲡ. „დამაკვირდი“-ს შესახები წერილი არ დაიბეჭდება, გამოგვიგზავნეთ ქალების შესახებ დიდებულთა კაცთა ახრები და ვნახოთ, თუ კარგად არის ნათარგმნი, დავბეჭდავთ.

ᲐᲜᲖ. Ძ. ᲓᲐᲕᲘᲓᲘᲫᲔ. ლექსი არ დაიბეჭდება.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ
Კ. Ს. ᲒᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ

ᲧᲔᲚᲘᲡᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲠᲘᲗ

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲡ.

ᲓᲘᲚ. 9—11 Ს., ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲬᲘ 5—7 Ს.

მიზეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ, Михайловская, противъ кирки.

(100—31—47)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲨᲐᲚᲔᲑᲐ

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც ავრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„ᲙᲕᲘᲠᲪᲮᲘᲡ ᲠᲫᲔ“

სახის გასანაზრდელად და გასათეთრებლად. „კვირცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, აჩაჩილებს კანს. **ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲛᲘᲡᲐᲬᲕᲔᲓᲔᲜᲘᲐ:** დიდი ჭიქა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და საოფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საოფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება ბარეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის საოფთექო მაღაზიაში.

ქალაქ ბორეთ მტხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—45)

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ

ქართველის წერა-კითხვის მეოდნე უმაწვილი წაგნების გასასყიდად ქ. ტფილისში. მიგმართეთ იუნე რასტომაშვილს, დაკითხეთ მეადანზე, № 6.

(10—6.—2)

ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲚᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲒᲕᲔᲚ ᲐᲛᲘᲡᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲘᲡᲘᲚᲔᲑᲐ ᲫᲣ-ᲗᲘᲐᲜᲘᲡᲨᲘ—ᲤᲐᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ; ᲥᲘᲠᲘᲚᲘᲐᲨᲘ—ᲘᲚᲘᲝᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ; ᲑᲐ-ᲗᲣᲛᲘᲡᲨᲘ—ᲛᲐᲫᲘᲛᲘᲡ ᲙᲘᲕᲙᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ (ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ); ᲡᲐᲛᲔᲢᲠᲝᲔᲚᲘᲐᲨᲘ—ᲥᲐᲚᲗᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲘᲠᲕᲐᲚᲝᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲤ. ᲙᲣᲮᲨᲘ—ᲗᲘᲗᲝᲜᲗᲝ ᲐᲑᲐᲨᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲡᲨᲘ.

(50—6.—45) 6. ᲬᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ

ᲬᲘᲠᲐᲬᲔᲠᲗᲘᲡᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲠᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ:

მოლიპულ გზაზე ან. ერისთავის 1 მ.

თავადის ქალი ურმანოვსკისა, თარ. ნ. ავალიშვილისა, 60 კ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველისა 15 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о грузіи Исарлова 80კ.

Телавскій уѣздъ Хаханова 1 მ. 25 კაპ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 27 Ноября 1899 г. ᲡᲢᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲡᲜᲘᲡᲗᲐᲜᲘᲡ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ